

წყალთან დაკავშირებული ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების ლოკალიზაცია ფრონეს ხეობის მეტყველებაში

მარიამ კობერიძე

ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, +
995577251275, ელ. ფოსტა: maikoberidze@gmail.com; <https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია წყალთან დაკავშირებული ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების ლოკალიზაცია ფრონის ხეობის მეტყველებაში. კვლევა ემყარება შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურისა და ჩვენ მიერ სოფელ-სოფელ მოძიებული მასალების ენათმეცნიერულ ანალიზს. ყურადღება გამახვილებულია დვანის, ფცის, სურამისა და ალის ფრონის სოფლებისათვის დამახასიათებელი ადგილისა და მდინარეების სახელწოდების სტრუქტურასა და წარმოების საშუალებებზე. სიტყვათა ამ დიდი მარაგის გათვალისწინება ენის ლექსიკაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია. ტოპონიმთა სისტემაში დაცულია ერთი კანონზომიერება: ადგილის სახელწოდებში წარმოდგენილია გარემო, მდებარეობა, ნიშნები, ფერი, პირსახელი, გვარი. ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების შემადგენელ ელემენტებად ხშირად გვხვდება წყალთან დაკავშირებული ლექსიკა: წყარო, ტბა, დელე, ჭალა, ხევი, ჭაობი, მორევი. რთულ ფუძეში პირველი კომპონენტი სოფლის სახელწოდება, გვარი, საკუთარი ან საზოგადო სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ცხოველი ან ფრინველი. ამის ნიმუშებია: აწყურის წყალი, რუსთავის წყალი, ალექსანდრეს წყარო, თედეშვილებისწყალი, ბაიდაურის წყალი, ბატონისწყარო, ბებერისწყარო. მსაზღვრელად გამოყენებული გვარი და პირსახელი მიგვანიშნებს კუთვნილებასა და სიმრავლეზე. ასეთ ტოპონიმს ახლავს -იან სუფიქსი: დურგლიანთწყარო (დურგლიშვილების წყარო), მაჭარაანთწყარო (მაჭარაშვილების წყარო), ბლიაძიანთტბა (ბლიაძეების ტბა). ადგილისა და მდინარეების სახელწოდებები ნაწარმოებია პრეფიქს-სუფიქსებით (ნა-ურ: ნატბური) და სუფიქსებით (ულ//-ულა: ფლეულა - მდინარე სოფელ ფლევში; ფციულა-მდინარე სოფელ ფცაში; სურამულა - მდინარე სურამში. -ურა: ღოღურა - მდინარე სოფელ ღოღეთში. -ებ: ჭინჭილები -ადგილის სახელწოდება. -ორა: ჭოშორა. -ეთ: ქვაბლეთი...). ჰიდრონიმებში - ა სუფიქსი თვისებისა და მსგავსების საწარმოებელი აფიქსია (ორწყალა. ტკოცულა...). წარმოება ქართულია, არ

შეგვხვედრია ნასესხები ტერმინები. ხმარების სიხშირით უფრო გამოირჩევა „წყალი“ და „წყარო“ ფუძის შემცველი ტოპონიმები. შეინიშნება ტოპონიმად გამოყენებული დიალექტური ლექსიკის ტერიტორიული ლოკალიზაცია. ასეთი წარმოება დამახასიათებელია ქართული ენის სხვა დიალექტებისათვისაც. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმ გვარ-სახელთა გამოკვლევა და ქრონოლოგიურად დღევანდელობასთან მიმართებაში შესწავლა, რომელიც ნებისმიერ მიკროტოპონიმს დაედო საფუძვლად. ჰიდრონიმთა წარმოებისას დასტურდება სუბსტანტიურმსაზღვრელიანი და შეკვეცილი ფორმები.

საკვანძო სიტყვები: ფრონეს ხეობა, ტოპონიმი, ჰიდრონიმი, ლექსიკა, წარმოება, ლოკალიზაცია.

ონომასტიკა ქართული ენის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. ის აქტიურად ეხმარება იმ პროცესებს, რომლებიც ენასა და დიალექტებში მიმდინარეობს და ასახავს ხალხის წარსულსა და დღევანდელ ყოფას.

ფრონეს ხეობის მეტყველებაში ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების შემადგენელ ელემენტებად ხშირად გვხვდება წყალთან დაკავშირებული ლექსიკა: წყარო, ტბა, ღელე, ჭალა, ხევი, ჭაობი, მორევი.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „წყალი ეწოდების ზღვასა, ტბასა მდინარესა, წყაროსა, ფშასა. ჯურღმულთა, წვიმათა და თოვლისა ნადნობთა და ამათ მიერ იქმნებიან ნათლის-ღება, ხოლო ვარდის-წყალთა და სხვათა მიერ ნოტიოთა არა იქმნებიან“ [10].

მსგავს განმარტებას ვხვდებით ქართული ენის სხვა ლექსიკონებშიც [16, 455; 17,696; 1, 553; 13]. ეს მიუთითებს იმაზე, რომ „წყლის განმარტებაში სხვადასხვა ლექსიკონებს შორის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში განმარტებათა მოცულობასა და საილუსტრაციო მასალის რაოდენობას, არსებითი ხასიათის განსხვავებები არა გვაქვს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე წყლის ძირითადი სემანტიკა უცვლელი დარჩა“ [5].

ფრონეს ხეობის ქართულურში წყალთან დაკავშირებული ტოპონიმები და ჰიდრონიმები მრავალფეროვანია როგორც შინაარსის, ისე წარმოების მხრივ. ხშირია შემთხვევა, რომ ესა თუ ის ტოპონიმი სხვადასხვა სოფელსა და უბანში უცვლელი სახელწოდებით მეორდება.

„წყალ“ ფუძის შემცველი ჰიდრონიმებიდან აღსანიშნავია: **ალისწყალი** - მდინარე სოფელ ალში, ალისფრონე; **დვანისწყალი** - დვანის ფრონე; **ფცისწყალი** - ფცის ფრონე, ფციულა; **სურამისწყალი** - სურამის ფრონე.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „დვანის-წყლის დასავლეთით არის ფცის-წყალი და დის ლოხოისა-პერანგას მთათაგან, მოდის სამგრით და მიერთვის მტკვარს“ [6].

იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ უცვლელად მეორდება იგივე სახელწოდებები: **დვანის წყალი, ფცის წყალი, ალის წყალი** [3].

ვახუშტი ბატონიშვილს ფრონეების ხეობაში დასახელებული აქვს ექვსი მდინარე: „ფაწა, ოთხი ფრონენი და შოლა“ [6]. ა. ლლონტის მოსაზრებით, მათში იგულისხმება: „ფაცის (ფცის) წყალი (ახლანდელ ალურა, ალისფრონე, ფციულა) და ოთხი ფრონე: დვანისწყალი (ახლანდელი ფრონე, დვანის ფრონე), ალისწყალი (ახლანდელი ალურა, ალისფრონე), სურამისწყალი (ახლანდელი სურამულა, სურამისფრონე), ბრეძისწყალი (ახლანდელი ბრეძულა, ბრეძისფრონე). ამ მდინარესთანაა დაკავშირებული ლოფინისწყალი, იგივე წადვლურა, „წადვლის ფრონე“ და შოლა“ [15].

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დასტურდება „ფრე წყარო ჭისაო“ [11]. იგივე სიტყვა ნ. ჩუბინაშვილთან განმარტებულია ასე: „ფრე წყარო წყლისა“ [16].

ა. ლლონტი ფრეს უკავშირებს ფრონეს. ამის საფუძველს აძლევს მას მდინარის ადიდების გამო ხალხში გავრცელებული გამოთქმები: „წამოვიდა ფრონე“, „იმდენი იწვიმა ფრონე დადგა“, „ამოდენა ფრონეს ვინ გატოპავს“ და სხვა. ის მიუთითებს იმერულში დადასტურებულ მსგავს სიტყვაზე: „ქორეთში (საჩხერეს არის მცირე დელე, რომელსაც ფრონა ჰქვია“ [18].

ვფიქრობთ, ალ. ლლონტის ეს მოსაზრება გასათვალისწინებელია ფრონესთან დაკავშირებით, საგულისხმოა „ფრესთან“ მისი დაკავშირებაც. „ფრონე უნდა იყოს შედგენილი სიტყვა, რომლის არქექტიპი ჩანს ფრ ან ამისი სტრუქტურული ვარიანტი (* ფარ, *ფონ, *ფურ, * ფორ), დაცული ქართულ ლექსიკაში ფრეს სახით (ჭის, ჭისწყლის მნიშვნელობით).

„წყალ“ ფუძის შემცველი ტოპონიმის პირველ ნაწილად გვხვდება სოფლის სახელწოდება. მაგ.: **აწყურისწყალი** - პირველ რბონაში; **რუსთავისწყალი** - პატარა მდინარე, რომელიც ფრონეს უერთდება ბეყმართან. რუსთავი სოფელს ჰქვია სამაჩაბლოში. **წორბისისფრონე // წორბისისწყალი** - მდინარე სოფელ წორბისთან. **ლისისწყალი** - მდინარე, რომელიც უერთდება მუხაურისწყალს **ძადინასთან**. **წყალგამყოფი** - ეწოდება ახალშენისგორას, მხლითისერს, კობერაანთგორას, ოქონისგორას.

„წყალ“ ფუძის შემცველ ტოპონიმებში მსაზღვრელად გვხვდება: **გვარი: ბაიდაურისწყალი** - წყრომში; **თედეშვილებისწყალი** - დიდ ხალებში; **ბიჭიკაანთწყალი** - კრისხევში. **პირსახელი: სისოსწყალი** - მდინარე, ადგილი ჩორჩანაში; **თამარისწყალი** - თაგუეთში. **ცხოველის ან ფრინველის სახელი: დათვისწყალი** - ადგილი სოფელ ლოპანში; **შაშვისწყალი** - წყალი ჩორჩანაში; **ჯაღორეთისწყალი** -- წყალი თერეგვანში. **ჯაღორეთი დასტურდება** სათესი ადგილის სახელწოდებად თერეგვანში. შესაძლებელია, ეს სიტყვა უკავშირდებოდეს „ძაღლს“. ჭან. ჯოდ-ორ-ი// ჯოდ-ო-ი „ძაღლი“, მეგრ. ჯოდ-ორ-ი, ქართ. ძაღ-ლ-ი. „ქართულში ძირეულია ძაღ-; -ლ- დეტერმინანტი სუფიქსია; ძაღ-ს კანონზომიერად შეესატყვისება ჯოდ-ჭანურსა და მეგრულში. სვან. ჟედ-ის შესახებაც იგივე უნდა ითქვას, ოღონდ თავკიდური ჟ-, თუ ის მეორეული არაა (ჟ-ჯ-) გვაფიქრებინებს, რომ

ქართულში უნდა ყოფილიყო ზალ-, მას შეეფერებოდა ჟოლ-ჟან-მეგრულში და ჟელ-სვანურში " [15].

მსაზღვრელად გვხვდება: **ზედსართავი სახელი : ლაშისწყალი** -- დირბში ; **მლაშეწყალი** -- ზემო აძვისში ; **მხიარულისწყალი** - ჩუმათელეთში ; **ურწყავი ადგილი** - სათესი ბრეძაში. **რიცხვითი სახელი: ორწყალა** -- ადგილი ქემფერში, სადაც ერთმანეთს უერთდება ორი ტილიანა. ტილიანას უწოდებენ მდინარეებს დვანში, ზემოაძვისში, ცვედანში, სატივესა და ცოცხნარაში..... მდინარის შენაკადებსაც ტილიანს უწოდებს მოსახლეობა. დვანის ფრონეს აქვს სამი ტილიანა: **დვანის, ავნევისა და ყორნისისა**, ადრე უნდა ყოფილიყო **მტილიანა** . **შდრ. მტილი - ბოსტანი** [10].

„წყალ“ ფუძე მსაზღვრელად ახლავს ზოგჯერ მდინარის სახელწოდებაც, მაგ.: **ლიათისწყალი (ლიახვისწყალი) - დირბში**. მსაზღვრელად გამოყენებულია მცენარე: **მუხისწყალი** -ადგილი, წყალი წაღვლში.

ხშირად „წყაროს“ ხშირად უკავშირდება მსაზღვრელად გამოყენებული სხვადასხვა შინაარსის მქონე სახელი. **საზოგადო სახელი: სისხლისწყარო** - ალიბარში; **ბატონისწყარო** -- ადგილი სატივეში; **ბებერისწყარო** - წყალი ტამისკარში; **ბეგისწყარო** -- ქვემო შაქმაქეთში. **ბერისწყარო** - დუმაცხოვში; **გველაქვისწყარო** - ქვაშვეთში; **დედოფლისწყარო** -- ბიანთხევში, ფცაში; **გუგულისწყარო** -- ახალშენში.

მსაზღვრელად გამოყენებული პირსახელი კუთვნილებაზე მიგვანიშნებს: **არსენასწყარო** - წყალი ზემოაძვისში, სატივეში; **ალექსანდრესწყარო**-ხალებში; **ლართაში**, **თხინალაში**; **ზაქარიასწყარო** - წრომში; **ბერღალასწყარო**-ახალშენში; **ბადრიანთწყარო**- ავლევეში. **ბარბაქაძეებისწყარო** - წყალი რბონაში. **ბესიასწყარო** - ქაშვეთში; **ბექოსწყარო** -- მოხისში. **ბიტასწყარო** - კრისხევში.; **ბუკიასყარო** -- წყალი კოდისწყაროში; **გიგოლასწყარო** -- ქემფერში. **გიგოსწყარო** - ბიანთხევში, ქვიშხეთში. **გიორგისწყარო** -- ქვემო ბროლოსანში. **გიოსწყარო** -- მონასტერში; **დიმიტრისწყარო** - წყალი სურამში; **ეგნატესწყარო** -- იტრიაში. **ედიშერასწყარო** -- თამარაშენში; **ერასტისწყარო** - კრისხევში; **თანდილასწყარო** - თერეგვანში; **ლადოსწყარო**- ბუღაურში; **კიკოსწყარო** - ოძისში; **ხანოს წყარო** - მოხისში. **ჯინასწყარო** - თერეგვანში; **ზაქარიასწყარო**-წრომში; **ლადოსწყარო**-ბუღაურში; **ტატოსწყარო**- ბრეთში.

კუთვნილებას გამოხატავს მსაზღვრელად გამოყენებული გვარებიც: **გიგიტაშვილებისწყარო** - ქვიშხეთში. **გოგოლაურისწყარო** -- ქინძათში; **კიკაძისწყარო** - ბიანთხევში; **ლუქუნიძიანთწყარო** - მოხისში. **მაისურაძეებისწყარო** -- დუმაცხოვში. **მაცხონაშვილებისწყარო** - დუმაცხოვში, **მინაძეებისწყარო** - ბერძენაულში.

მსაზღვრელად გამოყენებული გვარი ხშირად წარმოდგენილია კუთვნილების მიმანიშნებელ -იან სუფიქსით, რომელსაც ახლავს მრავლობითობის აღმნიშვნელი აფიქსიც. მაგ.: **დურგლიშვილიანთწყარო** (დურგლიშვილებისწყარო) - დირბში. **ელიანთწყარო** (-ელიაშვილების) - მოხისში; **მაჰარაანთწყარო** (-მაჰარაშვილების) -- ზემო შაქმაქეთში; **განჯელაანთწყარო** (-განჯელაშვილების) --

სატივეში; **პეტრიანთწყარო** (პეტრიაშვილების) - ნულში. **ჟამერაანთწყარო** (ჟამერაშვილების) - ცერონისში; **მეტივიანთწყარო** (-მეტივიშვილების).

-იან-თ სუფიქსი მაწარმოებლად გვხვდება ზედმეტსახელებშიც. მაგ., **თაფლანთწყარო** (თაფლა)-კნოლეში; **ციქუბანთწყარო** (ციქუბა)-კნოლეში.. **ლუანთწყარო**- თერეგვანში. **ლუანთტყეს** უწოდებენ ადგილს კრისხევი. ასეთ შემთხვევაში ლუა ზედმეტი სახელი უნდა იყოს. ტოპონიმთა ასეთი წარმოება უცხო არ არის ქართლურისა და ქართული ენის სხვა დიალექტებისათვის [7].

„წყაროს“ მსაზღვრელად გამოყენებული ლექსიკა ზოგჯერ ნიადაგის შემადგენლობაზე მიუთითებს: **კაპნარისწყარო** - უწლეში. ფრონის ხეობაში კაპნარს უწოდებენ დაუმშაველ, ქვიან და ბუჩქნარიან ადგილს. **კლდისწყარო** ბრილში. **კოხიჭალებისწყარო** - მოხისში. საბა: „კოხი ქვა, რომელი ცეცხლში არ დასქდება“ [387]. ზემოაჭარულში კოხს უწოდებენ გამოფიტულ, ნაკლებად ნაყოფიერ მიწას [8]. ფრონეს ხეობაში ქვიან ადგილს უწოდებენ „კოხიანს“. **კოხიჭალა**-ადგილს ჰქვია ქვენატკოცაში.

მსაზღვრელად გამოყენებულია: **ზედსართავი სახელი: დამპალწყარო** - ადგილი ხცისში; **დიდიწყარო** -წყალი წადვლში. **სოფლის სახელი: წადვლისწყარო** -- აბისში; **ატოცისწყარო** -- ბრემაში; **კოდისწყარო** - დვანში, ქემფერში; **ნედლათისწყარო**- ახალშენში; **სომანეთისწყარო** - წყალი მოხისში; **ტკოცი(ს)წყარო** - ადგილი, წყარო ახალუბანში. მსაზღვრელად გამოყენებულია რიცხვითი სახელი: **სამწყარო**-ავნეში. გვხვდება სახელწოდებები: **ქვემოსამწყარო**, **შუასამწყარო** - აქ უერთდება სამი ხევის წყალი და სახელწოდებაც აქედან არის ნაწარმოები.

„ტბა“ ფუძის შემცველ ტოპონიმებს მსაზღვრელად ახლავს **გვარი: ამილახვრისტბა** - გუბე ტაშისკარში. **ბლიაძისტბა** -პატარა ხალებში. ამ ადგილის აღმნიშვნელად გვხვდება ტოპონიმი: „ნატბევარი“. **მესხიანთტბები** (მესხიშვილების ტბა) -ადგილი სათესი ახალშენში. **ფეხშველანთტბა** - ადგილი, სათესი, ნაჭაობარი ახალშენში, თერეგვანში. **ადამიანის სახელი მსაზღვრელად: გიოსტბა** -ყელეთში; **დასკალიასტბა** -ადგილი, გუბე, ტბა წრომში; **დასკალია** - ანთროპონიმია. **კვირია(ს) ტბა** -ბულბულისციხეში; **სოლოსტბა** - ადგილი, ტბა დიდყელეთში.

მსაზღვრელად გამოყენებულია **ზედსართავი სახელი: მყრალტბა** (მყრალი ტბა)- ადგილი, ტბა თაგუეთში [9]. **ოქროსოფლისტბა**- ადგილი ტბა დიდყელეთში; **კოხტობა** -ადგილი ნულში. ეს სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ტბას, შდრ მეგრ.ტობ- ტობ-ა//ტობ-ო „ღრმა წყალი“; **სი-ტობ-ა „სიღრმე“; ლაზ. ტობ-//ტიბ- ტობ-//ტიბ-ა „ტბა: მორევი; ღრმა (წყალი) [15]. ტობ-** (ზანიზმი) დასტურდება იმერეთისა და გურიის ტოპონიმიაში (ტობანიერი, ტობახჩა და მისთ.). გურული ტომბოყო და აჭარული ტომპოყო//ტომბოყო („წყლიანი ორმო; დამდგარი წყალი; წუმპე“) მეგრულ -ლაზურიდან ნასესხებ ტომბო ფუძეს გამოავლენენ [12].

პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმებია: **ნატბევი (- ნა-ტბ-ევი) -** ადგილი ბრემაში. **ნატბეური (←ნა-ტბ-ე -ურ-ი ← ნა-ტბ-ევი-ურ-ი) -** ადგილი ვაყაში; **ნატბევარი (←ნა- ტბ-ევი-არ-ი) -** ცივწყაროში. სოფელ მონასტერში ტყეს ჰქვია **ნატბობი**. ეს უნდა მომდინარეობდეს **ნატბორ**-იდან, რაც დამდგარ წყალს აღნიშნავს

ფრონის ხეობაში. მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსითაა ნაწარმოებია სათესი ადგილის სახელწოდება ავნევი, არკნეთში, ძვილეთში - **ტბები**.

„**ღელე**“ ფუძე ტოპონიმებში ძირითადად დასტურდება საზღვრულად. ტოპონიმის შედგენის პრინციპი აქაც განსხვავებული არ არის. **მსაზღვრელად გამოყენებულია სოფლის სახელი: ბეკმისღელე** - ყიფიანთუბანში ქვიშხეთში; **ბობოკინისღელე** - ადგილი, ღელე, მცხეთისჯვარში. **ბობოკინა** -ადგილი, ნასოფლარი წაღვლთან. სახელი: **ბაბანაღელე**-ადგილი ღელე ქინძათში. **ბაკანაღელე** - ადგილი ქინძათში. **ბითას ღელე** - პატარა ხალებში. **ზედსართავი სახელი: ბნელეთისღელე** - ულუმბაში; **ბრუმღელე//ბრმაღელე** ადგილი ტყე, ღელე იტრიაში.

საზოგადო სახელი: ბოგირები -- ადგილი, ღელე ბუღაურში, კლდისწყაროში. **ბოგირიღელე** - ადგილი, სათესი ბულბულისციხეში; **ზედსართავი სახელი: ყრალიღელე** - ღელე ჩორჩანაში, მყრალი ღელე. **შრალღელე//მშრალღელე** -ადგილი სათესი ცეღანში. **ჩეჩქი(ს) ღელე** -ადგილი, ღელე დიდ და პატარა ყელეთში. **ცაცხვისღელე** - ადგილი, ღელე მონასტერში, ჩორჩანაში. **წყლიპურა ღელე** - მცირე მდინარე ციფწყაროში. **დიაკვნისღელე** -ადგილი, ტყე ოძისში; **დათვისღელე** უწლევში. **ქვაბთისღელე**-ჩორჩანაში. **ღართისღელე** - ურთხვაში. **ემშაკისღელე**- ადგილი ჩორჩანაში. **ზარებისღელე** -ადგილი პირველ რბონაში. **თებროსღელე** - ადგილი ზემობროლოსანში. **თხილნარისღელე**-ადგილი, ღელე რბონაში, ვაკეპანტაში. **კაპნარი (ს) ღელე** - თაგუეთში. **იფნისღელე** - ტაშისკარში; **კამეჩისღელე** - პატარა ხალებში. **მურყანებისღელე**- უწლევში. **ნათლისმცემლისღელე** - დამპალაში. **სათივისღელე** -ზაკოტაში. მსაზღვრელად გამოყენებულია გვარი: **კალმახანთღელე** (-კალმახელიძეების ღელე) - დვანში. **ტატანთღელე** - ადგილი სათესი ; **ნიკასღელე**-ტახტისძირში.

„**ჭალ**“ ფუძის შემცველი ადგილის სახელწოდებებია: **ბალთისჭალა** - ადგილი სათესი ქალეთში; **რგვალი ჭალა**- ადგილი, ბაღი დვანში. **ჭალები** - ადგილი, სათესი ოძისში, აბისში, ახალსოფელში, ოსიაურში, სათივეში, დირბში, ღვარიაწყალში, ხცისში, ქემფერში, თაგუეთში, ბაყანთში, წყლისპირი ტახტისძირში.

„**ჭაობ**“ ფუძის შემცველია ტოპონიმებია: **ქედელიძიანთჭაობი** - ადგილი, სათესი თამარაშენში; **დიდჭაობი**-მოხისში; **ჭატანთჭაობი** - ადგილი, სათესი თერეგვანში.

„**ხე**“ ფუძის შემცველი ტოპონიმებია: **ბებერასხევი** - ადგილი, სამოვარი ქვიშხეთში; **ბზისხევი** - ბალთაში; **ბლიაურისხევი** - მშრალი ხევი სუნისში; **ბოსლეთისხევი//ბოსლევისხევი** - ადგილი, ხევი წრომში; **ბრმახევი** -ადგილი ახალშენში, **საკვირიკის ხევი** - მდინარე ფრონის მარჯვენა შენაკადი დვანთან; **ყრუხევი** - ადგილი, ქედი, სალოცავი, ტყე ხცისში; **შაქასხევი** - ადგილი, ხევი ავნევი; **ძაღლისხევა** - პატარა მდინარე, ხევი, მდინარე ფრონის მარჯვენა შენაკადი დირბთან; **ჭურისხევი** - სათიბი მეტეხში, ნასოფლარი, ბალთაში; **ხახმისხევი** -ადგილი, წყალი ალიბარში, ზნაურის რაიონში; **ხტანისხევი** იგივეა, რაც ვახტანგის ხევი.

„**მორე**“ ფუძის შემცველი ტოპონიმებია: **ბუთუასმორევი** - ადგილი მტკვარზე ცხრამუხასთან. **გიასმორევი** - ადგილი მდ. ფრონეზე, დირბში.

ქათარაშენისმორევი - წყალი, ადგილი მდინარე ფრონეზე დირბში; **ლალეტას მორევი** - ტახტისძირში.

მდინარეს უკავშირდება -ულა სუფიქსით ნაწარმოები სახელწოდებები: მდინარე **დამჩხრეულა** (← დამჩხრ-ე-ულ-ა)- მდინარე ერთვის მტკვარს; **რუისულა** (←რუის-ულ-ა) -ადგილი ბრეთში; **სურამულა** (←სურამ-ულ-ა) - მდინარე გამოდის ორხევიდან ერთვის მტკვარს ხაშურთან, შესართავთან ფრონესაც ემახიან. **ტკოცულა** (←ტკოც-ულ-ა) - მდინარე ტკოცაში, ერთვის ფრონეს აბისთან. ხალხი უწოდებს **ტკოცისფრონეს**. **ფლეულა (-ფლე-ულა)** - მდინარე ფლევეში, ნაცარგორაში, ერთვის მდინარე ფციულას, ემახიან ფრონესაც. **ფციულა (-ფცი-ულ-ა)-** მდინარე ფცაში, იგივეა, რაც ფცისწყალი, აბისულასა და ცერონისულას ნაერთი, უერთდება მტკვარს აგარასთან, ემახიან ფცის ფრონესაც. **ლოღურა (-ლოღ-ურ-ა)** - მდინარე ფცაში. ამ მდინარის სახელწოდება ლოღეთს უკავშირდება. მოსახლეობა **ლოღურას** ემახიან ფრონესაც. ვახუშტი ახსენებს ლოღეთისხევს [6].

წყალს უკავშირდება -ეთ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმი: **ქვამლეთი** - ადგილი, ღელე ჩორჩანაში. -ებ სუფიქსითაა წარმოდგენილი ტოპონიმები: **ჭინჭილები** ადგილი, ღელე ჩორჩანაში. -**ორ-ა** სუფიქსი გვხვდება ტოპონიმში „ჭოშორა“ - მდინარე, ნასოფლარი ალში, ძაღინაში.

გაანალიზებული მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტოპონიმთა და ჰიდრონიმთა საწარმოებლად გამოყენებულია, როგორც მაწარმოებელი აფიქსები, ისე სიტყვათშეერთება. კომპოზიტების შემადგენელი ელემენტებია წყალი, ხევი, ღელე, წყარო, მორევი, ჭაობი. მსაზღვრელად გამოყენებულია პირსახელი, გვარი, არსებითი , ზედსართავი და რიცხვითი სახელი. წარმოება ქართულია, არ შეგვხვდრია ნასესხები ტერმინები. ხმარების სიხშირით გამოირჩევა „წყალ“ და „წყარ“ ფუძის შემცველი ტოპონიმები. ტოპონიმების უმეტესობა რთული სიტყვაა. წარმოება ოდენსუფიქსიანია. შეინიშნება ტოპონიმად გამოყენებული დიალექტური ლექსიკის ტერიტორიული ლოკალიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 553.
2. შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, ქართული ოიკონიმები: ტოპონიმთა, II, თბილისი, 1980, გვ. 222.
3. ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა: ტოპონიმთა, II, თბილისი, 1980, გვ. 368.
4. ა. ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1980.
5. ლ. გიგლემიანი, ჰიდროლექსიკა ქართულში (დისერტაცია), თბილისი, 2006, გვ. 6.
6. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 79-80.
7. მ. კობერიძე, ტოპონიმების წარმოებისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში, გორი, 2009, გვ. 280-281.
8. მ. კობერიძე, ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი, 2011, გ. 56.
9. მ. კობერიძე, ზედსართავსახელიანი ტოპონიმები ფრონეს ხეობის ქართლურში: XXXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ქუთაისი 2012 წლის 16-17 ნოემბერი, თბილისი, 2012, გვ. 42.
10. ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი, 1991, გვ. 391, 387, 524.
11. ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბილისი, 1993, გვ. 198.
12. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1990, გვ. 291.
13. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII, თბილისი, 1964.
14. ალ. ღლონტი, ფრონეების ხეობების ტოპონიმთა, თბილისი, 1988, გვ. 25.
15. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი: შრომები, III, თბ., 2008, გვ. 97, 191.
16. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961, გვ. 396, 455.
17. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984, გვ. 696.
18. ქ. ძოწენიძე, ზემოიძერული კილოკავი, ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები, თბილისი, 1974, გვ. 589.

Localization of water-related toponyms and hydronyms in the speech of the Prone Valley

Mariam Koberidze

Doctor of Philology, Professor of Gori State University

+ 995577251275, Email: maikoberidze@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

Resume

This paper studies the localization of water-related toponyms and hydronyms in the speech of the Froni Valley. The research is based on the linguistic analysis of the relevant scientific literature and materials we have found in each village. The focus is on the structure and means of production of place and river names characteristic of the villages of Dvani, Ptsi, Surami and Ali Froni. Taking into account this large stock of words is important when discussing the vocabulary of the language. One regularity is preserved in the system of toponyms: the name of a place represents the environment, location, signs, color, personal name, surname. The constituent elements of toponyms and hydronyms often include vocabulary related to water: spring, lake, ravine, floodplain, ravine, swamp, whirlpool. The first component in a complex stem is the name of a village, surname, proper or common name, adjective, numerical name, animal or bird. Examples of this are: Atskuri water, Rustavi water, Aleksandres tskara, Tedeshvilebisttskal, Baidauri water, Batonisttskaro, Beberisttskaro. The surname and personal name used as a determiner indicate belonging and plurality. Such a toponym is accompanied by the suffix -ian: Durglianttskaro (Durglishvili Spring), Macharaanttskaro (Macharashvili Spring), Bliadzianttba (Bliadzeebi lake).

Place and river names are formed with prefix-suffixes (na-ur: natbeuri) and suffixes (ul// -ula: pleula - a river in the village of plevi; ptsiula - a river in the village of ptsa; suramula - a river in suram. -ura: ghogura - a river in the village of ghogeti. -eb: chinchilebi - a place name. -ora: choshora. -et: kvableti...). In hydronyms, the -a suffix is an affix that produces properties and similarities (ortskal. tkotsula...). The production is Georgian, we have not encountered borrowed terms. Toponyms containing the roots "tskal" and "tskaro" stand out more in terms of their frequency of use. Territorial localization of dialectal vocabulary used as toponyms is observed. Such production is also characteristic of other dialects of the Georgian language. We consider it important to investigate and chronologically study those surnames in relation to the present day, which served as the basis for any microtoponym. In the production of hydronyms, substantive determinative and truncated forms are confirmed.

Keywords: Prone Valley, toponym, hydronym, vocabulary, production, localization.